

# Georgia Election Watch



2 ნოემბერი, 2020

## ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გარემოსა და პროცედურების ანალიზი და ემსახურება მშვიდობიანი, სანდო პროცესის მხარდაჭერას. NDI-ის ანალიზი ხორციელდება არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციის შესაბამისად და გლობალური COVID-19 პანდემიის ფონზე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, რის გამოც ვერ მოხერხდა დამატებითი საერთაშორისო დამკვირვებლების საქართველოში გაგზავნა. ადგილზე განხორციელებული საქმიანობის პარალელურად, ინტენსიური დისტანციური ჩართულობის უზრუნველსყოფად, NDI-მ მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა. წინამდებარე ანალიზი უყრდნობა საქართველოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლებთან 22-31 ოქტომბერს გამართულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, ასევე გრძელვადიანი ანალიტიკოსების გუნდის ანალიზს, რომელიც 15 სექტემბრიდან ვირტუალურად აკვირდებოდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია, კამპანიის გარემო, მედიის როლი და დეზინფორმაცია, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა და COVID-19-ის ზეგავლენა. ანგარიში ასევე ითვალისწინებს ინსტიტუტის მიერ საქართველოში საქმიანობის 25 წლის მანძილზე დაგროვებულ გამოცდილებას. NDI-ს მიერ არჩევნების დღის პროცედურების შეფასება ასახავს სანდო, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიგნებებს, რომელიც 31 ოქტომბრის არჩევნებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აკვირდებოდნენ. წინამდებარე ანალიზი ასევე უყრდნობა NDI საქართველოს საარჩევნო მონიტორინგის ანგარიშებს, რომელიც 2020 წლის 19 აგვისტოს, 9 ოქტომბერს და 20 ოქტომბერს<sup>1</sup> გამოქვეყნდა.

### შეჯამება

შედეგების ოქმებში ხარვეზებმა, საარჩევნო უბნებზე ან მის გარეთ შესაძლო დაშინების თაობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ, შედეგების დაგვიანებულმა გამოქვეყნებამ და წინასაარჩევნოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მუდმივად განცდამ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო

<sup>1</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, Georgia Election Watch ანგარიში, 19 აგვისტო, 2020; Georgia Election Watch ბიულეტენი #1, 9 ოქტომბერი, 2020; და Georgia Election Watch ბიულეტენი #2, 20 ოქტომბერი, 2020, <https://www.ndi.org/2020-georgia-parliamentary-election>

არჩევნებისთვის საკანონმდებლო ბაზის და ადმინისტრაციული პროცედურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები გადაფარა. პირველი ტურის შედეგების შეჯამებისა და 21 ნოემბერს დაგეგმილი მეორე ტურისთვის მზადების ფონზე, არჩევნების პროცესში გაჩენილი ეჭვების საპასუხოდ, ასევე საარჩევნო პროცესისა და საბოლოო შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის გასაზრდელად, მთავრობის ლიდერებსა და საარჩევნო ადმინისტრაციის საგანგებო ნაბიჯების გადადგმა დასჭირდებათ.

არჩევნების დღეს ხმის მიცემა, ძირითადად, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად მიმდინარეობდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი შედეგებით ამომრჩეველთა აქტივობამ 56.11 პროცენტი შეადგინა. პროპორციული სისტემით ცხრა პარტიამ გადალახა დადგენილი ზღვარი, 30-დან 16 მაჟორიტარულ ოლქში კი მეორე ტური გაიმართება. თუმცა საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფებმა, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი გაუსვეს შედეგების ოქმებთან და ხმის მიცემის ფარულობასთან დაკავშირებულ დარღვევებს. მათ დააფიქსირეს საარჩევნო უბნებს გარეთ ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები, უურნალისტებისა და დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტები, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და ხმების გაყალბების სავარაუდო შემთხვევები და საარჩევნო უბნების უმეტესობის გარეთ პარტიული კოორდინატორების და აქტივისტების ყოფნა, რაც დაშინების გარემოს ქმნიდა. არჩევნების დღის შემდეგ ოპოზიციურმა აქტივისტებმა მასშტაბური საპროტესტო აქციები გამართეს, ბევრი მათგანი ხმების გადათვლას, ან შედეგების გაუქმებასა და ხელახალი არჩევნების გამართვას ითხოვს.

მთლიანობაში სამართლებრივმა ჩარჩომ არჩევნების ჩატარებისთვის მყარი საფუძველი შექმნა. NDI-სთან საუბრისას, ჩართული მხარეების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებდა ივნისსა და ივლისში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებსა და საკანონმდებლო რეფორმებს, ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ რიგი საკითხები გამოწვევად რჩებოდა. წინასაარჩევნო პროცედურების ადმინისტრირება ზოგადად შეფასდა როგორც კომპეტენტური, კანონთან შესაბამისი და გამჭვირვალე, თუმცა, პარტიული ნიშნით მიკერძოებულობა, განსაკუთრებით ქვედა დონის კომისიებში, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუდმივი კრიტიკის საგანი იყო. მხარეების უმრავლესობამ, განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, კორონავირუსის პანდემიის პირობებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისთვის მიღებული ზომები პოზიტიურად შეაფასა. საქართველოს სასამართლო სისტემისადმი არსებული დაბალი საზოგადოებრივი ნდობა სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციური პარტიების მხრიდან საარჩევნო საჩივრების და გასაჩივრების პროცესების მიმართ უნდობლობას განაპირობებდა. მმართველ ქართულ ოცნებას ფინანსური რესურსების დიდი უპირატესობა პქონდა, რაც კამპანიისა და პარტიის დაფინანსების სისტემის სამართლიანობის შესახებ არსებულ წუხილებს აძლიერებდა.

მართალია კამპანია ღია და პლურალისტური იყო, თუმცა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად დაძაბულობამ და თავდასხმების შემთხვევებმა იმატა. პარტიებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და მედია გამოცემებმა კამპანიის პერიოდში ძალადობის და დაშინების მრავალი შემთხვევა დააფიქსირეს. ვრცელდებოდა ბრალდებები სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების შესახებ. ასევე, საკმაოდ ხშირი იყო ცნობები ამომრჩეველთა მოსყიდვის თაობაზე. საარჩევნო სისტემაში ცვლილებებმა ხელი შეუწყო არჩევნებში ახალი პარტიების მონაწილეობას, რომელთაგანაც რამდენიმე საპარლამენტო მანდატები მოიპოვა. თუმცა, მედიის პოლარიზაციის გამო პარტიებს სატელევიზიო

გაშუქებაზე არათანაბარი წვდომა ჰქონდათ. კამპანიის გზავნილები კონსტრუქციულ და განსხვავებულ პოლიტიკურ ხედვებსა და გადაწყვეტილებებზე მეტად ოპონენტის კრიტიკაზე იყო ორიენტირებული. რაც შეეხება პანდემიას, მას კამპანიის სტრატეგიებზე მოსალოდნელზე ნაკლები გავლენა ჰქონდა.

საქართველომ პოლიტიკაში მეტი ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სავალდებულო გენდერული კვოტის მიღება. ახლადარჩეულ პარლამენტში, სავარაუდოდ, სულ მცირე 28 ქალი შევა, რაც მცირედით აღემატება ახლანდელ რაოდენობას. ამ პროგრესის მიუხედავად, ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ლგბტ+ თემის წევრები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილები როგორც ახალ პარლამენტში, ასევე, პარტიულ ორგანიზაციებსა და მათ პლატფორმებში.

მედია გარემო მრავალფეროვანი და ღია, თუმცა პოლიტიკურად პოლარიზებულია, რაც მიკერძოებულ გაშუქებაში გამოიხატება და ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში უშლის ხელს. ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ან მუქარის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა. კანდიდატებს შორის სატელევიზიო დებატები შეზღუდულად ტარდებოდა, რის გამოც ეს შესაძლებლობა ამომრჩევლების ინფორმირებისთვის სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული. საინფორმაციო მანიპულაციები ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით Facebook-ზე. ქვეყნის შიგნით ინფორმაციის გაყალბება უფრო დიდი პრობლემა აღმოჩნდა, ვიდრე ქვეყნის გარედან მომავალი დეზინფორმაცია.

წინამდებარე ანგარიში წინასწარი ხასიათისაა. ოფიციალური შედეგები საბოლოო არ არის, საარჩევნო საჩივრების შეტანა და განხილვაც არ დასრულებულა, მეორე ტურის შედეგები კი, სულ მცირე, მომავალი სამი კვირის განვალობაში არ იქნება ცნობილი. საბოლოოდ, არჩევნების სანდოობასა და ლეგიტიმურობას ქართველი ხალხი განსაზღვრავს. NDI გააგრძელებს საარჩევნო მოვლენების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში შემდგომ განცხადებებს გამოაქვეყნებს.

## პოლიტიკური კონტექსტი

საქართველოში 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გლობალური პანდემიის, ქვეყნის საარჩევნო სისტემაში შეტანილი ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი ცვლილებების, პოლიტიკური პოლარიზაციისა და მოქმედი პარლამენტის მიმართ შემცირებული ნდობის ფონზე ჩატარდა. საარჩევნო დინამიკასა და პოლიტიკური გარემოს ფორმირებაზე კრემლის მხრიდან მომავალმა მუდმივმა აგრესიამ და რეგიონში სიტუაციის გამწვავებამაც იქონია გავლენა.

არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, კორონავირუსის შემთხვევების მკვეთრმა ზრდამ გავლენა იქონია კამპანიის სტრატეგიებსა და საარჩევნო უბნების პროცედურებზე. კორონავირუსით დაზარალებულ ზოგიერთ ამომრჩეველს ხმის მიცემის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეზღუდვები შეექმნა, ხოლო ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს, შესაძლოა, ამომრჩევლთა აქტივობაზე ნეგატიურად ემოქმედა. პანდემიამ, განსაკუთრებით ინფიცირების დონის ზრდამ, პრობლემები შეუქმნა ქართულ ეკონომიკასა და ჯანდაცვის სისტემას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 2020 წლის

გაზაფხულსა და ზაფხულში ვირუსის მართვის თვალსაზრისით საერთაშორისო მასშტაბით სამაგალითო ქვეყნად მიიჩნეოდა, შემოდგომაზე მთავრობის მიერ კრიზისის მართვა საარჩევნო კამპანიის გამოკვეთილ თემად იქცა.

ტრადიციულად, საქართველოში მმართველობა ერთი პარტიის დომინირებით ხასიათდება. ამას გარდა, ბოლო წლების საარჩევნო გარემო, ძირითადად, ორ პარტიას - მმართველ ქართულ ოცნებას და ოპოზიციურ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (ნაციონალური მოძრაობა) შორის ანტაგონიზმით გამოირჩეოდა. ამის შედეგად მიღებულმა პოლარიზაციამ სხვა პარტიებისა და მოძრაობების გაძლიერებას შეუშალა ხელი. 2020 წლის ივლისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების და საკანონმდებლო რეფორმების შედეგად უფრო მრავალფეროვანი საკანონმდებლო ორგანო ჩამოყალიბდება, წინასწარი შედეგების თანახმად, პროპორციული წარმომადგენლობის ბარიერს ცხრა პოლიტიკური პარტია გადალახავს.

NDI-ისა და სხვა ორგანიზიციების მიერ ბოლო წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა პარლამენტის საქმიანობას უარყოფითად აფასებს. NDI-ის გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 64%-ს არ სჯეროდა, რომ პარლამენტი ითვალისწინებდა მათ მოსაზრებებს, 68% კი მიიჩნევდა, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ემსახურებოდნენ.<sup>2</sup> ეს მიგნებები ცხადყოფს, რომ ახალ პარლამენტს საზოგადოებაში ნდობის ნაკლებობასთან მოუწევს გამკლავება. ამავე დროს, აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვან შესაძლებელობებსაც იძლევა. იმ საპარლამენტო ფრაქციებსა და პარლამენტის წევრებს, რომლებიც თავიანთი კეთილსინდისიერებისა და მოქალაქეების პრობლემებზე რეაგირების უნარის დემონსტრირებას შეძლებენ, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების კარგი შანსი ექნებათ.

კრემლის აგრესია ქართული პოლიტიკის მთავარ მახასიათებლად რჩება. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და ჰიბრიდული ომის სხვა ფორმების გამოყენება გრძელდება, რაც საქართველოს დემოკრატიული და ევროპული მისწრაფებების ხელყოფას ისახავს მიზნად. ამ ზეწოლაზე რეაგირება საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და პოლიტიკური აქტორებისგან მათი გეოპოლიტიკური მისწრაფებების ხშირ გახმოვანებასა და დაცვას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, იწვევს იმასაც, რომ სხვა აქტუალური საკითხები სათანადო ყურადღებას ვერ იმსახურებს. მეტიც, ყველაფერს რეგიონში არსებული არასტაბილურობაც ემატება, მათ შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მწვავე სამხედრო კონფლიქტი და ბელარუსში აგვისტოს გაყალბებული არჩევნების შემდეგ მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები.

საქართველოს მოქალაქეები ყოველთვის გამოიჩინენ დემოკრატიული და ევროპული მომავლის ერთგულებით. აღნიშნული მისწრაფებების შესრულება მოქმედი და ახალი პარლამენტის და მთავრობის მთავარი ვალდებულებაა. არჩევნების შემდეგ საზოგადოების ნდობის აღდგენა პირველი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. საქართველო ამ და წინა არჩევნებისთვის დამახასიათებელ დემონიზაციასა და პოლარიზაციაზე მაღლა უნდა დადგეს და მკაფიოდ აჩვენოს, რომ უარყოფს

<sup>2</sup> NDI, “საზოგადოების განწყობა საქართველოში 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები” 16 იანვარი, 2020, <https://www.ndi.org/publications/results-december-2019-public-opinion-polls-georgia-0>.

ძალაუფლების პარტიული მიზნით გამოყენების დიდი ხნის პრაქტიკას. არჩევნების შემდეგ, ახალმა უმრავლესობამ, იქნება ეს ერთი პარტია თუ კოალიცია, წარმომადგენლობითობა და ინკლუზიურობა უნდა უზრუნველყოს. ახალმა პარლამენტმა მავნე პოლიტიკური პოლარიზაციის შესამსუბუქებლად პარტიათაშორის თანამშრომლობას უნდა მიმართოს და არასაპარლამენტო პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან სისტემატური კომუნიკაცია იქონიოს. მას საქართველოს მოსახლეობის წინაშე არსებული მუდმივი ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად ხელშესახები ნაბიჯების გადადგმაც მოუწევს.

ქვეყნისთვის შემდეგი გამოცდა საჩივრების განხილვის სანდო და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა და არჩევნების მეორე ტურის მშვიდობიან, გამჭვირვალე, სამართლიან, უსაფრთხო და დაშინებისგან თავისუფალ გარემოში ჩატარება იქნება. ასეთი პროცესის უზრუნველსაყოფად მზადყოფნის დემონსტრირებისთვის მთავრობამ და საარჩევნო აღმინისტრაციამ სწრაფი, თვალსაჩინო და მდგრადი ნაბიჯები უნდა გადადგას.

## კენჭისყრის დღის პროცედურები

*Covid-19* პანდემიის გამო, ინსტიტუტის მიერ არჩევნების დღის პროცესების ანალიზი ვირტუალურად განხორციელდა. ანალიზი ეყრდნობა იმ სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო ჯგუფების დასკვნებს, რომლებიც ადგილზე დააკვირდნენ არჩევნებს. მათ შორის, საუბარია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაზე (სამართლიანი არჩევნები), რომელმაც არჩევნების რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტების შესაფასებლად ხმების პარალელური დათვლის მეთოდოლოგია გამოიყენა.<sup>3</sup> კენჭისყრის დღის მანძილზე ინსტიტუტს ასევე მჭიდრო ვირტუალური კომუნიკაცია ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო აღმინისტრაციასა და მედიასთან.

ცესკოს თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა რეგისტრირებული ამომრჩევლების 56.11 პროცენტმა მიიღო. წინა არჩევნებთან შედარება (2012 წელს ეს მაჩვენებლი 60.7%, 2016 წელს კი 51.63% იყო) მიუთითებს, რომ COVID-19-ს ამომრჩეველთა აქტივობაზე სავარაუდოდ მცირე გავლენა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დამეს ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე შედეგები დაგვიანებით ქვეყნდებოდა, ცესკოს წინასწარი შედეგების თანახმად, პროპორციულ არჩევნებში 1 პროცენტიანი ბარიერი პარლამენტში შესასვლელად ცხრა პარტიამ გადალახა: ქართული ოცნება - 48.15%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 27.14%, ევროპული საქართველო - 3.78%, ლელო - 3.15%, პატრიოტთა ალიანსი - 3.14%, სტრატეგია

<sup>3</sup> სამართლიანი არჩევნები, „ხმების პარალელური დათვლის (PVT) შედეგები,” 1-ლი ნოემბერი, 2020, <https://isfed.ge/geo/presrelizebi/201101022808khmebis-paraleluri-datvlis-PVT-shedegebi>; ეუთო/ოდირი, „მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ”, 1-ლი ნოემბერი, 2020 <https://www.osce.org/files/f/documents/a/a/469020.pdf>; საია, „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შეფასება”, 1-ლი ნოემბერი 2020, <https://gyla.ge/ge/post/2020-tslis-31-oqtombris-saparlamento-archevnebis-shefaseba#sthash.shAT77VS.dpbs>; and საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შედეგების შეფასება”, 1-ლი ნოემბერი, 2020, <https://transparency.ge/ge/post/2020-clis-31-oktombbris-saparlamento-archevnebis-dakvirvebis-shedegebis-shejameba>.

აღმაშენებელი - 3.15%, გირჩი - 2.89%, მოქალაქეები-ალევო ელისაშვილი - 1.33% და ლეიბორისტული პარტია - 1%. რაც შეეხება მაჟორიტარ კანდიდატებს, ცესკოს თანახმად, ქართულმა ოცნებამ პირველ ტურში 30 მანდატიდან 14 მოიპოვა. 16 მაჟორიტარულ ოლქში, სადაც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების 50 პროცენტზე მეტი, ორ ყველაზე მეტი ხმის მქონე კანდიდატს შორის 21 ნოემბერს არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების თანახმად, საქართველოს მასშტაბით საარჩევნო უბნების უმრავლესობაში არჩევნების დღეს კენჭისყრა, ძირითადად, კანონის შესაბამისად მიმდინარეობდა. თუმცა, სანდო დამკვირვებელთა ჯგუფები ხმის მიცემის ფარულობასა და შედეგების ოქმებთან დაკავშირებულ რიგ პროცედურულ ხარვეზებზე საუბრობდნენ. მათ შორის ჩამონათვალი მოიცავდა: მარკირების პროცედურის, ამომრჩეველთა იდენტიფიცირების, COVID-19-თან დაკავშირებული ზომების გამოყენებისა და საუბრო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხებს. არჩევნების დღეს ასევე დაფიქსირდა ურნალისტებისა და დამკვირვებლების მუშაობისთვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვისა და გაყალბების სავარაუდო ფაქტები.

დამკვირვებლებმა ასევე დააფიქსირეს პარტიული კოორდინატორებისა და აქტივისტების მობილიზება საარჩევნო უბნების უმრავლესობის გარეთ, რაც ამომრჩევლისთვის დამაშინებელ გარემოს ქმნიდა. ისინი ამომრჩევლებს აღრიცხავდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში აქტიურ კამპანიასაც ეწეოდნენ, რასაც დაძაბულობა და ფიზიკური დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა მოჰყავა. პოლიციამ სისხლის სამართლის გამოძიება 12 საქმეზე, ადმინისტრაციული წარმოება კი სამართალდარღვევის 16 ფაქტზე დაიწყო.

შეშფოთებები გამოითქვა შედეგების ოქმების შევსებისა და დათვლის პროცესთან დაკავშირებით. ადგილობრივი დამკვირვებლების თანახმად, საუბრო საარჩევნო კომისიების მნიშვნელოვან ნაწილში საარჩევნო ყუთში ბიულეტენების რაოდენობა განსხვავდებოდა ამომრჩეველთა სიაში ხელმომწერთა რაოდენობისგან. ამას გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში შემაჯამებელი ოქმები არასრული ან არასწორი იყო. ზოგიერთმა დამკვირვებელმა ვერ მიიღო ოქმების ასლები ამ საუბრო საარჩევნო კომისიებში ქსეროქსის ან პრინტერის არარსებობის გამო, რაც მონიტორინგის პროცესს ართულებდა. ზოგიერთმა უბანმა დროულად ვერ დაითვალა შედეგები, რამაც შედეგების სამართლიანობის შესახებ სპეციალური შეუწყობელი ხელი.

მთლიანობაში, ამ საკითხებმა პროცესების მიმართ უნდობლობა წარმოშვა და გამოცხადებული შედეგები ეჭვქვეშ დააყენა. კენჭისყრის დღის საჩივრების დიდი რაოდენობა უკვე შეტანილია და გასაჩივრების პროცესი ამ დრომდე გრძელდება. ცესკოს საჩივრების რეესტრის მიხედვით, 1 ნოემბრისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩევნების დღესთან დაკავშირებით 546 საჩივარია შეტანილი. საჩივრების ყველაზე ხშირ მიზეზს წარმოადგენს: ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა (42 შემთხვევა); გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა (39 შემთხვევა); საუბრო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის პასუხისმგებლობების განაწილებასთან დაკავშირებული პროცედურების დარღვევა (37 შემთხვევა); კომისიის წევრების მიერ მოვალეობების არასათანადოდ შესრულება (34 შემთხვევა); დამკვირვებელთა უფლებების დარღვევა (31 შემთხვევა); ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა (29 შემთხვევა); მარკირების პროცედურების დარღვევა (23 შემთხვევა); ამომრჩეველთა სიებთან

დაკავშირებული პროცედურების დარღვევა (13 შემთხვევა). 341 შემთხვევაში კომისიის წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობაა მოთხოვნილი. 66 საჩივარი საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმების მოთხოვნას, ხოლო 27 საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ რეაგირების მოთხოვნას ეხება.

მრავალმა სანდო სადამკვირვებლო ჯვარმა პრობლემურად შეფასებულ უბნებში ხმების გადათვლა ან შედეგების გაუქმება მოითხოვა. თბილისის ქუჩებში ოპოზიციური პარტიების ათასობით აქტივისტი შეიკრიბა პროტესტის გამოსახატად, ისინი პროცესის სამართლიანობას და შედეგების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებენ. არჩევნების აღიარებისთვის საზოგადოების ნდობა უმნიშვნელოვანესია. საარჩევნო ადმინისტრაციამ დამატებითი ძალისხმევა უნდა გასწიოს, რათა შეტანილი საჩივრები სწრაფად, გამჭვირვალედ და სწორად განიხილონ, საჭიროების შემთხვევაში კი კონკრეტულ უბნებზე ხმების გადათვლა ან განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდეს.

### რეკომენდაციები არჩევნების მეორე ტურის წინ:

- საარჩევნო ადმინისტრაციამ დამატებითი ძალისხმევა უნდა გასწიოს, რათა შეტანილი საჩივრები სწრაფად, გამჭვირვალედ და სწორად განიხილონ, საჭიროების შემთხვევაში კი კონკრეტულ უბნებზე ხმების გადათვლა ან განმეორებით კენჭისყრა ჩატარდეს.
- პარტიები და კანდიდატები მაქსიმალურად უნდა შეეცადონ, რომ საარჩევნო დარღვევებზე, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, ან ზეწოლასა და დაშინებებზე საჩივრებს სათანადო მტკიცებულებები დაურთონ და საჩივრების დასაკამაყოფილებლად არსებულ პროცედურებს მისდიონ.
- კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება საჩივრების მიმდინარე პროცესსა და მეორე ტურზე დაკვირვება. ყველა ჩართულმა მხარემ პატივი უნდა სცეს და დაიცვას მიუკერძოებელი დამოუკიდებელი დამკვირვებლების უფლებები, რათა დამკვირვებლებმა საკუთარი საქმიანობა ჩარევისა და დაშინების გარეშე განაგრძონ.
- ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებისთვის დამკვირვებელთა უფლებების შესახებ დამატებითი ტრენინგები უნდა ჩაატაროს და კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი ყველა დადგენილი პროცედურის მკაცრად და თანმიმდევრულად შესრულების აუცილებლობას; მათ შორის, იმ პროცედურების, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის პასუხისმგებლების განაწილებას, ხმის მიცემის ფარულობას, მარკირებას და შედეგების ოქმებს უკავშირდება.
- ხელისუფლებამ ამომრჩეველთა მოსყიდვისა და ამომრჩევლის დაშინების სავარაუდო შემთხვევებზე სწრაფი და საფუძვლიანი გამოძიება უნდა ჩაატაროს და მომავალში ასეთი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად ყველა საჭირო ზომა მიიღოს.
- მონაწილე მხარეებმა ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რათა განმუხტონ დამაბულობა და ხელი შუწყონ მშვიდობიან გარემოს. მათ არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდო დარღვევების გამოსამიებლად დადგენილი პროტოკოლები უნდა დაიცვან.
- საარჩევნო ადმინისტრაციამ, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიასთან თანამშრომლობის გზით, ამომრჩეველთა ფართო საგანმანათლებლო კამპანია უნდა აწარმოოს, რომელიც

ფოკუსირებული იქნება ხმის მიცემის ფარულობის უფლებაზე, როგორც არჩევნების ფუნდამენტურ პრინციპზე.

## საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია

### საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო

მთლიანობაში, არსებული საკანონმდებლო ჩარჩო არჩევნების ჩატარებისთვის მყარ საფუძველს უზრუნველყოფდა. NDI-ისთან საუბრისას ჩართულ მხარეთა უმრავლესობამ ივნისსა და ივლისში დამტკიცებული საკონსტიტუციო რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი დადებითად შეაფასა იმ თვალსაზრისით, რომ ის უფრო პლურალისტური და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულ ცვლილებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 2024 წლისთვის სრულად პროპორციულ სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლაა. ამ გეგმის თანახმად, 2020 წელს პარლამენტის 120 წევრი პროპორციული საარჩევნო სისტემით აირჩევა, 30 წევრი კი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მოიპოვებს მანდატს, ამჟამინდელი 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების ნაცვლად. ამას გარდა, 2020 წელს პარლამენტში მანდატების მოპოვებისთვის დაწესებული ზღვარი 5-დან 1 პროცენტამდე შემცირდა; პარტიისთვის ხმების სულ მცირე 40.6 პროცენტის მოპოვება იქნება საჭირო იმისთვის, რომ მარტომ დააკომპლექტოს მთავრობა. ცვლილებებმა, ასევე, პარტიულ სიებში ყოველ ოთხ კანდიდატში ერთი ქალის წარმოდგენის ვალდებულება გააჩინა.

თუმცა ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი ცვლილება არასაკმარისია, იმ ფონზე, როცა სხვა, ხანგრძლივად არსებული საკითხები კვლავ გადაუჭრელია. მათ შორის, ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებას, სოციალურ ქსელებსა და ონლაინ პლატფორმებზე კამპანიის წარმოების რეგულირებას, ასევე ხმების დათვლასა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივრების მოგვარებას. NDI-ისთან საუბრისას ეს მხარეები პოლიტიკური ნების ნაკლებობაზეც საუბრობდნენ, რაც კანონის სულისკვეთებისა და მასში გაწერილი დებულებების შესაბამისად აღსრულებას უშლის ხელს.

### საარჩევნო ადმინისტრაცია

მხარეების ზოგადი შეფასებით, წინასაარჩევნო პროცედურები კომპეტენტურად, კანონთან შესაბამისობაში და გამჭვირვალედ იყო ადმინისტრირებული. თუმცა, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად წუხილს გამოთქვამდნენ პარტიული ნიშნით მიკერძოების თაობაზე, განსაკუთრებით საარჩევნო კომისიების ქვედა დონეზე. ამასთანავე, COVID-19-ის გავლენის შემცირებასთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა რეგულაციამ უთანხმოება გამოიწვია.

პანდემიის შედეგად წარმოქმნილი მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, ცესკო საარჩევნო პროცესს საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად და, ზოგადად, გამჭვირვალედ მართავდა. ის რეგულარულ კონსულტაციებს, შეხვედრებსა და სხდომებს აწყობდა სხვადასხვა მხარეებთან და საჩივრების შესახებ გადაწყვეტილებებს, სიახლეებსა და ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე დროულად აქვეყნებდა. კომისიამ ამომრჩეველთა ცნობიერების გაზრდის მიზნით, მედიასთან და ამომრჩეველთან უშუალო კომუნიკაციის გზით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან თანამშრომლობით, მრავალფეროვანი კამპანიები აწარმოა. ცესკომ საარჩევნო მოხელეებისთვის, საჯარო მოსამსახურეთათვის, დამკირვებლებისთვის, პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლებისთვის, ჟურნალისტებისთვის, პოლიციისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის ონლაინ და პირისპირ ტრენინგები ჩაატარა. ზოგიერთი ტრენინგი ახლადწარმოქმნილ გამოწვევებს მიეძღვნა, მათ შორის, ისეთ საკითხებზე როგორიცაა კოვიდთან დაკავშირებული ზომების განხორციელება, საარჩევნო კიბერუსაფრთხოება და კიბერბულინგის აღკვეთის შესახებ ტრენინგი ქალი კანდიდატებისთვის. საარჩევნო სიები უმეტესწილად სანდოდ მიიჩნეოდა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე მიმდინარეობდა.

ცესკო სხვადასხვა ჩართულ მხარეებთან გაფორმებული რამდენიმე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და ქცევის კოდექსის ინიციატორიც იყო. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მოიცავდა თანამშრომლობას: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საარჩევნო პროცესებში პოლიციის როლის თაობაზე; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა (უწყებათაშორისი კომისია) და 13 არასამთავრობო ორგანიზაციასთან - ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აღკვეთის საკითხზე; და ევროპის საბჭოს, უწყებათაშორის კომისიასა და საჯარო სამსახურის ბიუროსთან - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონების შესახებ საჯარო მოხელეების გადამზადების მიმართულებით. კომისიამ ასევე შეიმუშავა ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ეთიკის კოდექსი (ხელმოწერილია 33 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ), საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი (ხელმოწერილია საარჩევნო მოხელეების მიერ) და პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი (ხელმოწერილია 40 პოლიტიკური პარტიის მიერ).

ცესკოს გარდა, საარჩევნო პროცესს 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,847 საუბნო საარჩევნო კომისია მართავდა. თითოეული კომისია 12 წევრისგან შედგება - ექვსი ე.წ. პროფესიული ნიშნით არჩეული წევრისგან, რომლებიც პოლიტიკური მიკუთვნილებისგან თავისუფალი უნდა იყვნენ და პარტიების მიერ დანიშნული ექვსი წევრისგან, რომლებიც პარლამენტში პარტიების წარმომადგენლობითი წილის მიხედვით ნაწილდებიან (სამი ქართული ოცნებიდან და თითო-თითო წევრი პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, ევროპული საქართველოდან და პატრიოტთა ალიანსიდან). საუბნო საარჩევნო კომისია ყოველი არჩევნების წინ ფორმირდება, სადაც საოლქო საარჩევნო კომისია ექვს პროფესიული ნიშნით, ღია კონკურსის წესით, შერჩეული წევრს ნიშნავს.

პროფესიული ნიშნით დანიშნული კომისიის წევრების ნეიტრალურობის უზრუნველყოფისთვის მიღებული ახალი მექანიზმების მიუხედავად, ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა შერჩევის პროცესის შესახებ კითხვები გააუღერეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ზოგიერთ ოლქში ეს პროცესი ღია კონკურსის ნაცვლად, გამარჯვებულთა წინასწარ გამზადებულ სიებს

ეფუძნებოდა. ზოგიერთი პროფესიული ნიშნით დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წარსული გამოცდილების შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ მათ უახლოეს წარსულში პარტიული როლი ჰქონდათ. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარების უმრავლესობა პროფესიული წევრების რიგებიდან იქნა შერჩეული, თუმცა პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან შერჩეული ყველა თავმჯდომარე მმართველ პარტიას წარმოადგენდა. სამ ოლქში შერჩევის პროცესის ირგვლივ არსებული უკმაყოფილება დაპირისპირებასა და ძალადობაში გადაიზარდა.

ცესკო ხაზგაზმით აცხადებდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის შერჩევის პროცესში არავითარ კანონდარღვევას არ ჰქონია ადგილი და აღნიშნავდა, რომ წინა არჩევნებში პარტიის მიერ დანიშნულ წევრად საქმიანობის გამო შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება დაახლოებით 900-მდე პირს არ მიეცა. ამით ცესკო მიანიშნებდა, რომ პარტიული ნიშნით მსურველთა გამოხშირვის სისტემამ შედეგი გამოიღო. ცესკოს მიხედვით, ბევრ ოლქში წევრობის მსურველთა რაოდენობა უტოლდებოდა ან თითქმის უახლოვდებოდა არსებული ვაკანსიების რაოდენობას, რაც რეალური კონკურენციის საშუალებას არ იძლეოდა.

ცესკოს მიხედვით, 14,170 ამომრჩეველი დარეგისტრირდა საზღვარგარეთ, 7,150 - სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და COVID-19-თან დაკავშირებულ სახელმწიფო საკარანტინო ზონებში, და 3,695 - თვითიზოლაციაში. ცესკოს ამ ამომრჩევლების მომსახურებისთვის საკმარისი რაოდენობის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მოძიება გაუჭირდა. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო “სპეციალური ჯგუფები”, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციას შეასრულებდნენ იმ პირობებში, როდესაც ვერ ხერხდებოდა ჩვეული შვიდი პირისგან შემდგარი კვორუმის მიღწევა. ზოგიერთმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ ეს მიდგომა გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ეს პროცესის გამჭვირვალობასა და ზედამხედველობას უშლიდა ხელს.

## ***COVID-19***

გლობალური პანდემიის ფონზე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და მოქალაქეთა ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფას შორის ბალანსის დაცვა უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები პირები იძულებული იყვნენ, არასასურველ შესაძლო ვარიანტებს შორის გაეკეთებინათ არჩევანი. COVID-19 პანდემიის დროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მიღებული ზომები ზოგადად ინკლუზიური პროცესების ფარგლებში შემუშავდა და ყველა ჩართულმა მხარემ დადებითად შეაფასა. ჯანდაცვის ზომები მოიცავდა ამომრჩევლების მიერ ნიღბის, ხოლო საუბნო კომისიის თანამშრომლების, დამკვირვებლების, პარტიისა და მედიის წარმომადგენლების მიერ დამცავი აღჭურვილობის ტარების და საარჩევნო უბანზე შესვლისას მათთვის ტემპერატურის გაზომვის მოთხოვნებს, ასევე, საარჩევნო უბნების რეგულარულ დეზინფექციას.

კოვიდინფიცირებული ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პროცედურების მართვა განსაკუთრებული გამოწვევებით აღსავს და წინააღმდეგობრივი საკითხი აღმოჩნდა. 19 ოქტომბერს გამოქვეყნებული ცესკოს დადგენილების მიხედვით, იმ პირებს, რომლებიც თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ ან სახლში მკურნალობდნენ, მხოლოდ გადასატანი ყუთის საშუალებით შეეძლოთ ხმის მიცემა, რისთვისაც მათ

ხანმოკლე, სამდღიან ვადაში დარეგისტრირება ევალებოდათ (24-27 ოქტომბრის შუალედში). ცესკოს მონაცემებით, გადასატანი ყუთით ხმის მისაცემად კომისიას 9,940 მოქალაქემ მიმართა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ. განცხადებლების თვითიზოლაციაში მყოფთა ოფიციალურ ბაზაში გადამოწმების შემდეგ, კომისიამ 3,695 მსურველი დარეგისტრირა. ამ სიას კიდევ 1,917 პირი დაემატა, მათ შორის „სპეციალური ჯგუფის“ წევრები, რომლებიც გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესს გაუწევდნენ ადმინისტრირებას, დამკვირვებლები და მედიის წარმომადგენლები. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია შემჭიდროებულ ვადებს ეწინააღმდეგებოდა და რეგისტრაციის დამანძეველ პროცესს აკრიტიკებდა, რომლის შესახებ კომუნიკაციაშიც ხარვეზები შეინიშნებოდა. ზოგიერთმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ცესკოს გადაწყვეტილება კოვიდინფიცირებული პაციენტებისთვის გადასატანი ყუთის გამოყენების შესახებ, ნაცვლად იმისა, რომ საავადმყოფოებსა და საკარანტინო ზონებში სპეციალური უბნები მოეწყოთ, უბნის შექმნისთვის საჭირო ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობის მოთხოვნის შესაბამისად. მათ შეშფოთება გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ ეს პროცესის დაკვირვებას გაართულებდა და მანიპულაციის შესაძლებლობას შექმნიდა.

## საჩივრები და განცხადებები

წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე 343 საჩივარი იქნა წარდგენილი. საჩივრების უმრავლესობა საუბნო კომისიების არჩევას (116 შემთხვევა), საარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილი პირის მონაწილეობას (47 შემთხვევა), გადასატან ყუთთან დაკავშირებულ დარღვევებს (40 შემთხვევა), და სამუშაო საათების დროს საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრების არყოფნას (32 შემთხვევა) შეეხებოდა. მათგან 8 საჩივარი დაკამაყოფილდა, 1 - ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, 153 - არ დაკამაყოფილდა, 94 - საერთოდ არ იქნა განხილული, 7 - შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნა რეაგირებისთვის და 80 კვლავ განხილვის პროცესშია. საარჩევნო სუბიექტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ საჩივრის ოფიციალურად დარეგისტრირებას აზრი ეკარგება, როცა საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოების და პოლიციის მიუკერძოებლობა სათუოა. ისინი ასევე აცნობიერებდნენ მათი საჩივრების სათანადოდ დასაბუთების სირთულეს და აღნიშნავდნენ, რომ აღქმული დარღვევები არა იმდენად კანონში გაწერილ ნორმებს, არამედ უფრო კანონის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა. საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადებით, მიღებული საჩივრების უმრავლესობა სამართლებრივ საფულვლებს მოკლებული იყო და კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. ადმინისტრაციაში ვარაუდობდნენ, რომ ზოგჯერ საჩივრების წარდგენა საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მოტივით ხდებოდა და უარყოფილი საჩივრების მაჩვენებლის გაზრდას ისახავდა მიზნად.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ, რომლის მანდატს საჯარო მოხელეების მხრიდან არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების აღკვეთა და მათზე რეაგირება წარმოადგენს, 22 ოქტომბრამდე 500 ასეთი შესაძლო შემთხვევა შეისწავლა და 48 მისი მანდატის ქვეშ აღმოჩნდა. აქედან 17 ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებას უკავშირდებოდა, 10 - შესაძლო ძალადობას, 5 - შესაძლო ხმის მოსყიდვას და 16 - სხვა შესაძლო დარღვევებს. ორ შემთხვევაში

უწყებათაშორისმა კომისიამ დარღვევა დაადგინა, ხოლო 5 კვლავ მოკლევის ეტაპზეა. ასევე, უწყებათაშორისმა კომისიამ რამდენიმე რეკომენდაცია გამოსცა, მათ შორის ერთი საჯარო მოხელეებს მოუწოდებდა არ ჩართულიყვნენ პოლიტიკურ კამპანიებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ხოლო პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია მოწინააღმდეგეთა კამპანიებისთვის ხელის არშეშლას და ძალადობრივი ქმედებებისგან თავის შეავებას ითვალისწინებდა. კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციები და პარტიები სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია, თუმცა ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ და ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მათ ბოიკოტი გამოუცხადა. მათი თქმით, კომისიის შემადგენლობა შემთხვევების მიუკერძოებლად შესწავლის შესაძლებლობას არ ქმნის. თავის მხრივ, უწყებათაშორისმა კომისიამ განაცხადა, რომ ბოიკოტმა კომისიის საგამოძიებო უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შეზღუდა. მონაწილეობის და კომისიისადმი ნდობის დაბალმა მაჩვენებელმა მისი ეფექტურობა და მნიშვნელობა დააკნინა.

საარჩევნო საჩივრებისა და განცხადებების პროცედურების მიმართ სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების უნდობლობა საქართველოში სასამართლო სისტემისადმი დაბალი ნდობიდან მომდინარეობს. NDI-ის 2019 წლის დეკემბრის კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 45 პროცენტი სასამართლოების საქმიანობას უარყოფითად აფასებს მაშინ, როდესაც მხოლოდ 10 პროცენტი აფასებს კარგად.<sup>4</sup> 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და შემდგომ, 2017 წელს, ოპოზიციური პარტიები და არასამთავრებო ორგანიზაციები გამუდმებით გამოხატავდნენ წუხილს გაჭიანურებული გამოძიების, შერჩევითი მიდგომების, მოსამართლეებზე ზეწოლის, სანქციების უთანასწორო და არაპროპორციული გამოყენების თაობაზე. 2020 წლის ოქტომბერში ორი საჯარო მოხელისთვის ბრალის წაყენება, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს (2006-2007) აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციაში იყვნენ ჩართულნი, შესაძლო პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ახალ მაგალითად იქცა. სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა დიდი ხანია ქართული პოლიტიკის უმთავრესი გამოწვევაა.

### კამპანიის დაფინანსება

საქართველოს საარჩევნო პროცესებში კამპანიის დაფინანსების საკითხი დიდი ხანია კრიტიკის საგანს წარმოადგენს. სხვა ფაქტორებთან ერთად, ეს ეხება პარტიებისა და კანდიდატების კამპანიის დაფინანსებაში არსებულ დიდ უთანასწორობას; კამპანიის, სახელმწიფო და კერძო რესურსებს შორის ბუნდოვან გამყოფ ხაზებს; საჩივრებს შემომწირველებზე ზეწოლისა და დაშინების შესახებ; “შავი ფულის” უკანონო გზით გამოყენების სქემების შესახებ ბრალდებებს. ფართო შეთანხმება არსებობს იმის თაობაზე, რომ ამგვარი გარემო მმართველ პარტიას არაპროპორციულ უპირატესობას ანიჭებს და პოლიტიკური რეკლამისთვის და კამპანიის ფარგლებში სხვა აქტივობებისთვის მნიშვნელოვან რესურსებს აძლევს. არსებულმა კანონებმა და რეგულაციებმა ამ უთანასწორობის აღმოფხვრა ვერ მოახერხა. ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებით, შესაბამის ინსტიტუტებს ეფექტური

<sup>4</sup> Ibid.

მონიტორინგის განხორციელებისა და კანონმდებლობის აღსრულებისთვის საჭირო რესურსები და პოლიტიკური დამოუკიდებლობა აკლიათ.

NDI-ისთან საუბრისას მხარეთა უმრავლესობამ ფინანსური გამჭვირვალობის გაძლიერებისკენ მიმართული უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები დადებითად შეაფასა, თუმცა გარკვეული წუხილები გამოხატეს პარტიებისა და კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეზღუდული საგამოძიებო უფლებამოსილებისა და ადამიანური რესურსების თაობაზე. ასევე, გამოყვეს ის ფართო გამოწვევები, რაც კამპანიის სამართლიანობის ზედამხედველობისთვის ყოვლისმომცველი ჩარჩოს ჩამოყალიბებას უკავშირდება. კამპანიის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ყველა ფინანსური დეკლარაცია კანონით განსაზღვრულ ვადებში გამოაქვეყნა და კანონთან მათი შესაბამისობის გადამოწმების პროცესი დაიწყო. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შუალედური ანგარიში გამოსცა, რომელიც 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავდა. ანგარიშის მიხედვით, 7 შემთხვევაში აუდიტის სამსახურმა ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, სამი შემთხვევა ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმის შედგენითა და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით დასრულდა, ორი შემთხვევა სასამართლოს გადაეგზავნა, ხოლო ორი კვლავ შესწავლის პროცესშია. თუმცა, ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ აუდიტის სამსახურს არ აქვს შესაძლებლობა, გამოიძიოს საქართველოს ფარგლებს მიღმა არსებული წყაროებიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ განცხადებები და ასევე, ვერ ახერხებს საფუძვლიანი ზედამხედველობა გაუწიოს ონლაინ სივრცეში მიმდინარე კამპანიას.

ამ არჩევნებში, მმართველ პარტიას, ქართულ ოცნებას, ჭარბ რესურსებზე ჰქონდა წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის არჩევნების დაფინანსების ჯამური ოდენობები ჯერ არ არის საბოლოოდ დათვლილი, 23 ოქტომბერს აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა აჩვენა, რომ წარმოდგენილი შემოწირულებების ნახევარი ქართულმა ოცნებამ მიიღო - 10 მილიონ ლარზე მეტი. ამ მაჩვენებლით მასთან ყველაზე ახლო მდგომმა პარტიამ, ლელომ, 2.6 მილიონი ლარი მიიღო შემოწირულობის სახით. ხარჯვითი ნაწილიც იგივე ტენდენციას ასახავდა.<sup>5</sup> საქართველოში ოპოზიციური პარტიების მხრიდან დიდი ხანია ისმის კრიტიკა იმის თაობაზე, რომ ინდივიდები და ბიზნესები ქართული ოცნებისთვის თანხების შეწირვასთან დაკავშირებით ზეწოლას განიცდიან. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ თავის ანგარიშში მმართველი პარტიების შემოწირულობასა და საჯარო ტენდერებში გამარჯვებას შორის ღია კავშირზე ისაუბრა, რაც კითხვებს ბადებს შესაძლო კორუფციული სისტემის არსებობის თაობაზე.<sup>6</sup>

<sup>5</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახური, “2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში,” 23 ოქტომბერი, 2020, <https://monitoring.sao.ge/files/7/2020-31-10-შუალედური.pdf>

<sup>6</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება - შუალედური ანგარიში,” 30 ოქტომბერი, 2020, <https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-parlamentis-2020-clis-archevnebis-kampaniis-dapinanseba-shualeduri-angarishi>.

## **არჩევნებზე დაკვირვება**

ცესკოს მონაცემებით, 2020 წლის არჩევნებისთვის დამკვირვებლის აკრედიტაცია 123-მა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა მიიღო, რაც 47,000-ზე მეტ ადამიანს მოიცავს. სამართლიანი არჩევნები (ISFED) წინასაარჩევნო პროცესს აკვირდებოდა და არჩევნების დღეს ხმების პარალელურად დათვლა (PVT) განახორციელა, რაც არჩევნების დღეს მიმდინარე პროცესების ხარისხის შეფასებისა და ოფიციალური შედეგების გადამოწმების სტატისტიკაზე დაფუძნებულ მეთოდს წარმოადგენს. საარჩევნო უბნებზე ასობით დამკვირვებლის გაგზავნის მიღმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ (TI Georgia) და საერთო-სამოქალაქო მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“ (PMMG), გრძელვადიანი დაკვირვება განახორციელეს და წინასაარჩევნო პროცესების შეფასების მიზნით ანგარიშებიც გამოაქვეყნეს. მრავალეროვანი საქართველო კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე იყო ფოკუსირებული. ამ და სხვა გამოცდილი, მიუკერძოებელი ჯგუფების ძალისხმევამ არსებითად შეუწყო ხელი არჩევნების გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და სამართლიანობას.

თუმცა, ზოგიერთმა ჩართულმა მხარემ წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ აკრედიტაციის მქონე სხვა ჯგუფები თავს მიუკერძოებლად ასაღებდნენ მაშინ, როცა რეალურად ისინი კონკრეტული ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს ატარებდნენ. მხარეები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ეს ჯგუფები კომისიების მუშაობისთვის ხელის შეშლას, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიგნებების დისკრედიტაციას და არჩევნების ლეგიტიმაციის ეჭვევეშ დაყენებას ცდილობდნენ.

საქართველოში დამკვირვებლები რამდენიმე საერთაშორისო ჯგუფმაც გამოგზავნა, მათ შორის: ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და საელჩოებმა. თუმცა COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე მათი მისიები ჩვეულზე ნაკლებ დამკვირვებელს მოიცავდა. ამან სანდო მიუკერძოებელი ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.

### **რეკომენდაციები:**

- არჩევნების მეორე ტურამდე, ცესკომ კოვიდის გამო სტაციონარებში, საკარანტინო ზონებში და თვითიზოლაციაში მყოფი პირების მიერ ხმის მისაცემად შემუშავებული პროცედურების ფართოდ ხელმისაწვდომობა, გამარტივება და მკაფიოდ კომუნიკაცია უნდა უზრუნველყოს.
- გრძელვადიან პერსპექტივაში, იმ ამომრჩევლებისთვის, რომლებსაც საარჩევნო უბნებზე ხელი არ მიუწვდებათ ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობის, საზღვარგარეთ მოგზაურობის და/ან ცხოვრების გამო, მთავრობამ, ცესკომ და პარლამენტმა ალტერნატიული პროცედურების შექმნაზე უნდა იმსჯელონ, რაც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მათთვის ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფას, გამჭვირვალობის, არჩევნების სამართლიანობისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად.

- პარლამენტმა ყველა საჭირო ნაბიჯი უნდა გადადგას იმისთვის, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ფუნდამენტური ცვლილებები არჩევნების დღემდე სულ მცირე ერთი წლით ადრე მაინც იქნას მიღებული. ცვლილებების შემუშავებაში საზოგადოების ფართო სპექტრი უნდა მონაწილეობდეს, მათ შორის პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო ადმინისტრაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკირვებლო ჯეფუფები და საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვა მხარეები. ეს პროცესისადმი ნდობას უზრუნველყოფს.
- საარჩევნო კომისიების კეთილსინდისიერებაში რწმენის გაზრდის და პოლიტიკური ბალანსის დაცვის მიზნით, პარლამენტმა საარჩევნო კომისიის წევრების გადანაწილების ფორმულის შეცვლაზე და პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრების ნომინირების კრიტერიუმის ხელახლა განსაზღვრაზე უნდა იმსჯელოს, რაც მიუკერძოებლობის ხარისხის განმტკიცებას უზრუნველყოფს.
- პარლამენტმა, მთავრობამ და ცესკომ უნდა იმსჯელონ საჩივრების, განსაკუთრებით ხმების დათვლასთან და შედეგებთან დაკავშირებული განცხადებების ორგვლივ არსებული პროცედურების გამარტივებაზე, არჩევნების დღეს გამოვლენილი დარღვევების შესახებ საჩივრის წარდგენის უფრო ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ და შემაჯამებელი ოქმების შევსების მკაფიო წესების გაწერაზე, განსაკუთრებით რაოდენობრივი შეუსაბამოების შემთხვევაში.
- პარლამენტმა უნდა იმსჯელოს იმ ცვლილებებზე, რაც სოციალურ ქსელებსა და სხვა ონლაინ პლატფორმებზე კამპანიის პარამეტრებს უფრო ცხადს გახდის.
- მთავრობამ და პარლამენტმა უნდა იმსჯელონ კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების, ზედამხედველობის, გამოძიებისა და გასაჯაროების უფრო ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნაზე.
- მთავრობამ, ცესკომ და პარლამენტმა უნდა გადასინჯონ უწყებათაშორისი კომისიის მისა და იმსჯელონ, რამდენად შესაძლებელია უფრო ეფექტური, დროული, მიუკერძოებელი და შესაბამისი რეაგირების უნარის მქონე მექანიზმის შემუშავება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ამომრჩევლების მოსყიდვისა და დაშინების თაობაზე შემოსული საჩივრების საპასუხოდ.

## კამპანიის გარემო

COVID-19-ის შედეგად წარმოქმნილი შეზღუდვების მიუხედავად, კამპანია ღია და პლურალისტულ გარემოში წარიმართა. პარტიების უმეტესობამ აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო გარემო, 2016 წლის საპარლამენტო და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, უფრო მშვიდი იყო, თუმცა არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაძაბულობის დონემ იმატა. პროპორციული მანდატების რაოდენობის ზრდამ და საარჩევნო ბარიერის დაწევამ ახალ პარტიებს შექმნისა და არჩევნებში მონაწილეობისკენ უბიძგა. ჯამურად მაჟორიტარულ ოლქებში 490-მა კანდიდატმა, მათ შორის 11-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, იყარა კენჭი. ამასთან, პროპორციული სია 48 პარტიამ და ორმა კოალიციამ წარმოადგინა, რაც ზრდაზე მიუთითებს 2016 წელთან შედარებით, როდესაც არჩევნებში მონაწილეობა 19-მა პარტიამ და 6-მა საარჩევნო ბლოკმა მიიღო. 48 პარტიას შორის, 25-მა პარტიამ არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობა.

## წინასაარჩევნო კამპანია

40-მა პარტიამ ზემოთხსენებულ პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს მოაწერა ხელი, რომელიც ხელმომწერ მხარეებს მოუწოდებს, დაიცვან კანონის უზენაესობა, პატივი სცენ ამომრჩეველთა ნებას, თავი შეიკავონ დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის გამოყენებისგან და მშვიდობიან საარჩევნო გარემოსა და საკითხებზე ორიენტირებულ კამპანიას შეუწყონ ხელი.<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში გათვალისწინებული წესები არაერთგვაროვნად იყო დაცული, დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა აღნიშნული კოდექსის მიღებას წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს, როგორც ანგარიშვალდებულების გაზრდის საშუალებასა და კონსტრუქციულ პრეცედენტს მომავალი არჩევნებისთვის.

პირისპირ შეხვედრები, მათ შორის კარდაკარ კამპანია, ბეჭდური მასალის დარიგება და საჯარო შეხვედრები, კამპანიის ძირითად ფორმებს წარმოადგენდა. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლების თანახმად, COVID-19-ის უსაფრთხოების ზომები, როგორიცაა სოციალური დისტანცირება და ნიღბების ტარება, ყოველთვის არ იყო დაცული. მსგავსი შეკრების საჯარო კრიტიკის შემდგომ, მომდევნო ღონისძიებები შედარებით მცირე მასშტაბით გაიმართა, სადაც COVID-19-ის პროტოკოლით გათვალისწინებული ზომები უფრო მეტად იყო დაცული. იმ ქალაქებში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი მაღალი იყო, ზოგიერთი დიდი მასშტაბის შეხვედრა გაუქმდა, სხვები კი “სამანქანო მსვლელობამ” ჩაანაცვლა.

პოლარიზებული მედიის გამო პარტიებისა და კანდიდატებისთვის სატელევიზიო დრო არ იყო თანაბრად ხელმისაწვდომი (დეტალები იხილეთ ქვემოთ). პარტიებთან პოლიტიკურად დაახლოებულ მედია საშუალებებში რეგულარულად შუქდებოდა მხოლოდ ყველაზე მსხვილი და გამოცდილი პარტიების - მათ შორის, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - კამპანიები. თუმცა, იმ პარტიებს, რომელთაც სახელმწიფოსგან დაფინანსება ეკუთვნით (პარტიები, რომლებსაც ყავთ წარმომადგენლები პარლამენტში, ან რომლებმაც უკანასკნელ საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში ამომრჩევენთა ხმების 3% მოიპოვეს) საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო მედია საშუალებებზე უფასო საეთერო დრო გამოეყოთ. ამასთან, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის მათ სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს. შედარებით მცირე პარტიების თქმით, სახელმწიფო დაფინანსება მათი სატელევიზიო რეკლამის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. პარტიები, რომლებსაც არ მიუღიათ სახელმწიფო დაფინანსება, მიიჩნევენ, რომ არ გაშუქებულან ტელევიზიაში, გარდა უფასო საეთერო დროისა საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

სოციალური მედიის როლი ყველაზე თვალსაჩინო კამპანიის ბოლო დღეებში გახდა. პარტიებმა NDI-ის განუცხადეს, რომ პირისპირ შეხვედრები ამომრჩეველთან ურთიერთობისთვის უფრო ეფექტურ მეთოდად მიაჩნდათ, განსაკუთრებით ურბანული დასახლებების მიღმა. შედეგად, კამპანიის მსვლელობისას სოციალური მედია პირისპირ შეხვედრების ხელშეწყობისთვის გამოიყენებოდა.

<sup>7</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისია, “პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის”, 29 სექტემბერი, 2020 წელი, <https://cesko.ge/res/docs/CoC-final.pdf>

პარტიები სხვადასხვა პლატფორმებს, (ძირითადად Facebook-ს, თუმცა სხვა პლატფორმებსაც, როგორიცაა Instagram, TikTok და YouTube) პარტიების კამპანიის ღონისძიებების, პარტიის ლიდერების გამოსვლებისა და ინტერვიუების, არჩევნებზე წასვლისკენ მოწოდებებისა და რეკლამების გაშუქებისთვის იყენებდნენ. მხარდამჭერებთან კომუნიკაციისთვის ასევე გამოიყენებოდა საკომუნიკაციო აპლიკაციები, როგორიცაა Viber და Telegram.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიებისა და კანდიდატების თქმით, მათ მკაფიოდ განსაზღვრული პლატფორმები და პროგრამები ჰქონდათ, ადგილობრივი დამკირვებლებისა და მედიის შეფასებით აღნიშნული საკითხები არ იყო სათანადოდ წარმოჩენილი კამპანიებში, ხოლო კამპანიები ძირითადად მეტოქებზე თავდასხმებს ემსახურებოდა. ამასთან, პლატფორმები იშვიათად მოიცავდნენ კონკრეტულ და გამოკვეთილ ხედვას სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე. ყველა პარტია ხაზს უსვამდა ეკონომიკური განვითარების აუცილებლობას, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის შედეგად. განათლება, სასამართლო რეფორმა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ხშირად იყო დასახელებული, როგორც წარმყვანი თემები. საკუთარი თავის “მესამე ძალად” წარმოსაჩენად და ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან თავის გამიჯვნის მიზნით, ზოგიერთი ახალი და შედარებით მცირე ზომის პარტია ისეთ საკითხებს ასახელებდნენ, როგორიცაა სოციალური დახმარების გაზრდა, საპენსიო რეფორმა და სასამართლო სისტემის გაუმჯობესება. კამპანიის ბოლო კვირაში, ქართულმა ოცნებამ შიშზე დაფუძნებული ტაქტიკის გამოყენება სცადა, როდესაც ოპონენტები ძალადობრივ და რევოლუციურ განზრახვაში დაადანაშაულა.<sup>8</sup>

## ძალადობა და დაშინება

ძალადობა და დაშინება მიუღებელია დემოკრატიულ საზოგადოებასა და არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა ლიდერებმა არაერთხელ მოუწოდეს საჯარო მოხელეებსა და პარტიულ აქტივისტებს ძალადობისა და პროვოკაციებისგან თავის არიდებისკენ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პარტია, მედია საშუალება და სამოქალაქო ორგანიზაცია ძალადობრივ ინციდენტებზე საუბრობდნენ. 29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ერთობლივ მიმართვაში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 20 შემთხვევა დაასახელეს. მათ შორის აღინიშნა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, ქვების სროლა და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყფა მარნეულში, ბოლნისში, თბილისსა და დმანისში.<sup>9</sup>

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ 29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ მიმართვაში საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დამკვირვებელთა დაშინებისა და მუქარის 80-ზე მეტი შემთხვევაა

<sup>8</sup> Agenda.ge, “მმართველი პარტიის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობას, ოფიციალური საარჩევნო შტაბის გარდა, ‘რევოლუციური შტაბი’ აქვს გახსნილი”, 28 ოქტომბერი, 2020, <https://agenda.ge/en/news/2020/3338>.

<sup>9</sup> სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, “2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,” 29 ოქტომბერი, 2020, <https://transparency.ge/ge/post/2020-clis-saparlamento-archevnebis-cinasaarchevno-garemos-ertoblivi-shepaseba>; და სამართლიანი არჩევნები, “2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის IV შუალედური ანგარიში (6-28 სექტემბერი), <https://isfed.ge/geo/angarishebi/2020-tslis-saparlamento-archevnebis-monitoringis-IV-shualeduri-angarishi>.

აღნიშნული. რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ისაუბრა კამპანიის ღონისძიებების მსვლელობისას თვალთვალზე, მათ შორის, მხარდამჭერების ვიდეოს ჩაწერასა და კანდიდატებზე მიდევნებაზე, რასაც, მათი თქმით, სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუსი) თანამშრომლები ახორციელებდნენ. აღნიშნული ღონისძიებების ადრესატები მსგავს ქმედებებს მათი და მათი მხარდამჭერების დაშინების მცდელობად აღიქვამდნენ. ორმა ქალმა კანდიდატმა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გაშუქების მუქარა მიიღო.

## ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

წინა არჩევნების მსგავსად, მონაწილე მხარეები ხშირად გამოთქვამდნენ წუხილს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად საუბრობდნენ აღნიშნულ საკითხებზე. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI Georgia) შეფასებით, მმართველი პარტიის კანდიდატების ადგილობრივი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებებზე გამოჩენა და აღნიშნული ღონისძიებების კამპანიის მიზნებისთვის გამოყენება ერთგვარ ტენდენციად იქცა. მსგავსი შემთხვევები ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირდა.<sup>10</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ქუთაისის დრამატული თეატრის სეზონის გახსნაზე ქართული ოცნების კანდიდატების სიტყვით გამოსვლაზე საუბრობდა, რომელიც სახელმწიფო სახსრებით ფინანსდებოდა.<sup>11</sup> ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო დახმარების ზოგიერთი პროგრამა კოვიდით დაზარალებული მოქალაქეებისთვის ისე იყო წარმოდგენილი, რომ წაშლილი იყო ზღვარი მთავრობასა და პარტია ქართულ ოცნებას შორის და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დახმარება პარტიამ უზრუნველყო. საიას თქმით, ფართომასშტაბიანი პროექტები, როგორიცაა ინტერნეტის უზრუნველყოფა, რომელიც კერძო და უცხოური დაფინანსებით განხორციელდა, წარმოდგენილი იქნა წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც პარტიისა და მისი ლიდერების დამსახურება.<sup>12</sup> უარყოფითად იყო შეფასებული ქართული ოცნების მიერ დროებითი პარტიული “კოორდინატორების” დაქირავება, რაც ამომრჩევლის მოსყიდვად აღიქმებოდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 29 ოქტომბრის ერთიანი მიმართვა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მიერ ამომრჩეველთათვის პროდუქტების დარიგების ან სერვისების მიწოდების 60-ზე მეტ შემთხვევას ასახელებს. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საჯარო მოხელეებზე პოლიტიკურ ზეწოლას უსვამენ ხაზს, რათა მათ მხარი დაეჭირათ მმართველი პარტიისთვის. მაგალითად, სამართლიანი არჩევნების განცხადებით, სკოლისა და საბავშვო ბალების მასწავლებლები პოლიტიკური პარტიებისთვის

<sup>10</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, “ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - შუალედური ანგარიში”, 26 ოქტომბერი, 2020, <https://transparency.ge/ge/post/administraciuli-resursebis-gamogeneba-sakartvelos-parlamentis-2020-clis-archevnebistvis>.

<sup>11</sup> საია, “საიამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკირვებლო მისიის მესამე შუალედური ანგარიში მოამზადა,” 30 ოქტომბერი, 2020, <https://www.gyla.ge/ge/post/saiam-2020-tslis-saparlamento-archevnebis-grdzelvadiani-sadamkvirveblob-mesisame-shualeduri-angarishi-moamzada#sthash.uucBpLQy.dpbs>.

<sup>12</sup> საია, “საიამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკირვებლო მისიის მეორე შუალედური ანგარიში მოამზადა,” სექტემბერი, 2020 <https://gyla.ge/ge/post/saiam-2020-tslis-saparlamento-archevnebis-grdzelvadiani-sadamkvirveblob-moore-shualeduri-angarishi-moamzada#sthash.MhQpwui7.urW8gnkW.dpbs>.

უმნიშვნელოვანეს ადამიანურ რესურსად მიიჩნევიან და ხშირად უწევთ, ძირითადად, მმართველი პარტიის კამპანიის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.<sup>13</sup>

## რეკომენდაციები:

- არჩევნების მეორე ტურამდე:
  - უმნიშვნელოვანესია, რომ არჩევნების მეორე ტურის წინ პარტიებმა და კანდიდატებმა ამომრჩეველთან კომუნიკაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორმები დაიცვან.
  - პარტიის ლიდერებმა და კანდიდატებმა კიდევ ერთხელ უნდა გაუსვან ხაზი ქცევის კოდექსის მნიშვნელობას და დაიცვან კოდექსის ნორმები.
- მომავალ არჩევნებში პარტიებმა და კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ პიროვნებებზე დაფუძნებული კამპანიის წარმართვისა და თავდასხმებისგან. მათ მკაფიოდ უნდა წარმოადგინონ პოლიტიკური ხედვები ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.
- პარტიებმა და კანდიდატებმა უნდა უზრუნელყონ კანონის დაცვა, რაც მათ შორის გულისხმობს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ძალადობისა და ამომრჩევლის მოსყიდვის და ამომრჩეველზე ძალადობის (პირადად თუ ონლაინ) ფაქტების პარტიის ადმინისტრაციის ყველა დონეზე გაფლერებასა და სათანადო რეაგირებას. სხვა ნაბიჯებს შორის, მნიშვნელოვანია დარღვევების საპასუხოდ შიდა სანქციების დაწესება და ანგარიშვალდებულების კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.
- შესაბამისმა უწყებებმა დროულად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ და აღვეთონ ძალადობის, დაშინების, ამომრჩევლის მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები, მათ შორის, საჯარო მოხელეებსა და სახელმწიფო დაწესებულებებთან დაკავშირებულ უწყებებში მომუშავე თანამშრომლებზე ზეწოლის სავარაუდო შემთხვევები.

## გენდერი და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა

გასულ წელს პოლიტიკაში უფრო მეტი ჩართულობისა და მრავალფეროვნების ხელშესაწყობად საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. საკანონმდებლო ორგანოში პროპორციული წარმომადგენლობის მისაღწევად, გენდერული კვოტისა და დაწეული ბარიერის საშუალებით, “ახალ სახეებს” პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა მიეცათ. აღნიშნული პროგრესის მიუხედავად, ახალ პარლამენტში, ისევე როგორც პოლიტიკური ცხოვრების სხვა ასპექტებში, ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, შშმ პირები და ლგბტი+ თემი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. გარდა ამისა, პარტიების უმეტესობას ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობის გაზრდის ან პრიორიტეტული საკითხების გადაჭრისთვის არ გააჩნიათ კონკრეტული პოლიტიკური სტრატეგიები, რომლებიც ამ ჯგუფების, როგორც ამომრჩევლების, ინტერესებს ითვალისწინებს; პარტიები ვერ უზრუნველყოფენ სათანადო ჩართულობას, რომ აღნიშნულმა ჯგუფებმა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა შეძლონ.

<sup>13</sup> სამართლიანი არჩევნები, “2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის IV შუალედური ანგარიში (6 - 28 სექტემბერი),” 29 სექტემბერი, 2020, <https://isfed.ge/geo/angarishebi/2020-tslis-saparlamento-archevnebis-monitoringis-IV-shualeduri-angarishi>.

## გენდერი

2020 წლის ივლისში, პარლამენტმა მხარი დაუჭირა სავალდებულო გენდერულ კვოტას, რაც პარტიულ სიებში ყოველ ოთხ კანდიდატში მინიმუმ ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატის წარდგენას გულისხმობს. 2028 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პარტიებს უკვე სამ კანდიდატში ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატის წარდგენის ვალდებულება ექნებათ, ხოლო 2032 წლის არჩევნებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტა გაუქმდება. ის პარტიები, რომლეთა სიებშიც ქალთა წარმომადგენლობა არსებული კვოტებით გათვალისწინებულ მინიმალურ რაოდენობას აჭარბებს და არჩეულები არიან პარლამენტში, დამატებით სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ. პარტიებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ დამატებითი დაფინანსება პარტიის ქალთა ორგანიზაციის მხარდასაჭერად დაიხარჯოს, თუმცა მისი აღსრულების მექანიზმი არ არის დადგენილი.

ქართულმა ოცნებამ და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კვოტის მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილეს, თუმცა ქალები ძირითადად ოთხეულის ბოლო პოზიციებზე გადაანაწილეს. 29 პარტიამ, მათ შორის ევროპულმა საქართველომ, დემოკრატიულმა მოძრაობამ-ერთიანი საქართველო, პარტიამ სამართლიანობისთვის, სტრატეგია აღმაშენებელმა და პატრიოტთა ალიანსმა პარტიულ სიებში სამ კანდიდატში მინიმუმ ერთი ქალი წარადგინეს. პროპორციული წესით არჩეული კანდიდატებიდან, პარლამენტში მანდატის მოპოვება სულ მცირე 28 ქალმა მოახერხა.

მაჟორიტარული სისტემა კვოტირებას არ ექვემდებარება, შესაბამისად, ბევრი წამყვანი პარტიისთვის მაჟორიტარ კანდიდატებად ქალების წარდგენა ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მაგალითად, ქართულმა ოცნებამ მაჟორიტარ კანდიდატად მხოლოდ 1 ქალი, ლელომ - 8, ევროპულმა საქართველომ - 5, პატრიოტთა ალიანსმა - 4, ნაციონალურმა მოძრაობამ კი 3 ქალი დაასახელა. საერთო ჯამში, მაჟორიტარ კანდიდატად 107 ქალი იყრიდა კენჭს (მაჟორიტარი კანდიდატების 22 პროცენტზე ნაკლები). პირველ ტურში არცერთ მათგანს მოუპოვებია მანდატი, თუმცა მეორე ტურში სამი ქალი გააგრძელებს ასპარეზობას.

მოქმედ მოწვევაში 21 ქალი დეპუტატია არჩეული, მაშასადამე მომავალ პარლამენტში ქალთა მონაწილეობა მცირედით გაიზრდება.

კანდიდატთა შერჩევის პროცესი პარტიებს შორის განსხვავებულია, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს პროცესები გამჭვირვალობის ნაკლებობით, არათანაბარი კონკურენციით და მკაფიო კრიტერიუმების არ არსებობით გამოირჩევა, რაც ხელს უშლის ქალებს შერჩევის პროცესში თანაბარ პირობებში მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოწვევები ფესვგადგმულია პარტიული გადაწყვეტილების მიღების უფრო ფართო პროცესებშიც, რომელიც უმეტესწილად კაცებით არის დომინირებული.

ქალები ამომრჩეველთა 54 პროცენტს შეადგენენ, თუმცა საქართველოს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შემუშავებული პოლიტიკის ქალებზე და კაცებზე განსხვავებული გავლენის დადგენა იშვიათად ხდება. პოლიტიკური პარტიების პლატფორმები გენდერულ თემებს მიმოიხილავს, მაგრამ ისეთი ვიწროდ განსაზღვრული საკითხების მოგვარებით შემოიფარგლება, როგორიცაა ორსულობის,

მშობიარობის, ბავშვის მოვლის და შვილად აყვანის შეღავათები, გენდერული ძალადობა და ეკონომიკური გაძლიერება და საკითხის გადაწყვეტის მიზნით იშვიათად განიხილავს კონკრეტულ პოლიტიკას. გარდა ამისა, კამპანიის მიმდინარეობისას ამ თემების განხილვა იშვიათად ხდება.

კანდიდატების გარდა, ქალები პარტიის აქტივისტებისა და კოორდინატორების რანგში აქტიურად იყვნენ ჩართულები. ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციაშიც ქალები დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. აღსანიშნავია, რომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში ქალთა მონაწილეობა, კაცებთან შედარებით, უფრო მაღალი იყო და მათ ამ კომისიების ყველა წევრთა დაახლოებით 66 პროცენტი შეადგინეს. ცესკოს თავმჯდომარე ქალია, თუმცა კომისიაში ქალთა საერთო პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 25 პროცენტია. ცესკოს ცნობით, აკრედიტებული დამკირვებლების 56 პროცენტზე მეტი ქალი იყო.

## ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

კანდიდატების, ამომრჩევლებისა და აქტივისტების სახით ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკაში ჩართულობა კვლავ შეზღუდულია. ისინი მოსახლეობის 13 პროცენტს შეადგენენ, თუმცა მათი პროცესებიდან გამოთიშვა და იზოლირება არ უკავშირდება მხოლოდ არჩევნებს, ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს. ქართული საინფორმაციო გამოშვებები არ გადაიცემა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რის გამოც მოსახლეობა თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ან რუსულ საინფორმაციო წყაროებს ეყრდნობა. მათთვის სირთულეს წარმოადგენს საშინაო პოლიტიკასა და საკითხების შესახებ ახალ ამბებზე წვდომა, რაც მათ არჩევნებში მონაწილეობაზე ახდენს გავლენას. ისინი ამომრჩევლისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლის რანგში იღებენ საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას, მაგრამ მცირეა მათი ჩართულობა პარტიის პროგრამების შედგენაში და დაბალია მათი კანდიდატებად წარდგენის მაჩვენებელი. 27 ოქტომბრის ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ მომზადებულ [საალიზში](#), პარტიების მიდგომა ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებთან მიმართებაში შეფასებულია როგორც „ზედაპირული“. ეს პროგრამები ხშირად ფოკუსირებულია ენის სწავლებასა და დისკრიმინაციის დასრულებაზე, თუმცა უგულებელყოფს ამ ჯგუფების ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფას.<sup>14</sup>

მთიან ყარაბაღში მიმდინარე რეგიონულმა კონფლიქტმა ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობა გაართულა. საომარმა მოქმედებებმა საქართველოში მცხოვრები სომები და აზერბაიჯანელი მოსახლეობის ყურადღება საზღვრის სამხრეთით განვითარებულ მოვლენებზე გადაიტანა.<sup>15</sup>

<sup>14</sup> EMC, „ეთნიკური უმცირესობების უფლებები პარტიების წინასაარჩევნო ხედვებში - 2020,” 27 ოქტომბერი, 2020 წელი, <https://emc.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-ufilebebi-partiebis-tsinasarchevno-khedvebshi-2020>.

<sup>15</sup> PMMG, „მედიის მონიტორინგის შუალედური მიგნებები: მთიან ყარაბაღში სამხედრო დაპირისპირების ანარეკლი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების შიდაეთნიკურ ურთიერთობებში - 2020 წლის 27 სექტემბერი - 26 ოქტომბერი,” 2020 წლის ოქტომბერი.

ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულ ოლქებში (მათ შორის მარნეული-გარდაბანი და ახალქალაქი-ნინოწმინდაში) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 17 კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. საქართველოს სხვა მაჟორიტარულ ოლქებში ეთნიკური უმცირესობები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილები. აქედან 16 მაჟორიტარი კანდიდატი პარტიის პროპორციულ სიებშიც არიან ნომინირებულები, თუმცა პარტიების ტოპ 20-ეულში არცერთი მათგანი არ არის წარდგენილი. ცესკოს წინასწარი შედეგების თანახმად, პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ხუთი კანდიდატი (ქართული ოცნებიდან - 3 და ნაციონალური მოძრაობიდან - 2) შევა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ოლქებში, როგორც წესი, ყოველ არჩევნებში ერთი და იგივე კანდიდატები იყრიან კენჭს. მცირე ძალისხმევა ხმარდება ახალი სახეების წარდგენას, მაგალითად, კანდიდატების შერჩევის პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა აქტივისტების ჩართულობით ან საკითხების შემუშავებაში მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ პარტიულ სიაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატი მე-19 ნომრად, ხოლო ევროპულმა საქართველომ აჭარაში საზოგადოებისთვის ფართოდ ცნობილი ქართველი მუსლიმი კანდიდატი წარადგინეს. დიდ პარტიებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი კანდიდატად არ დაუყენებიათ, მაშინ როცა პატარა პარტიების მიერ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სამი ქალი კანდიდატი იყო წარდგენილი.

ცესკომ, ეთნიკური უმცირესობების სამუშაო ჯგუფების საშუალებით, ამომრჩეველთა განათლებისა და ჩართულობის ხელშესაწყობად მთელი რიგი მასალები და ინიციატივები შეიმუშავა. უმცირესობათა დასახლებებში 710 აზერბაიჯანულენოვანი და 840 სომხურენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო. საუბნო საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს მასალები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე შესთავაზეს. უმცირესობათა დასახლებებში ბიულეტენები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 213 უბანს გადაეცა. ცესკოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია განთავსებულია ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე, ხოლო აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სპეციალური გვერდია შექმნილი. ამ მცდელობების მიუხედავად, NDI-ის აცნობეს, რომ ხმის მიცემის უსაფრთხოებისთვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ოლქებში ბევრმა არ იცოდა ჯანდაცვის კრიზისისა და გატარებული უსაფრთხოების ზომების შესახებ.

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები**

პოლიტიკური პარტიები არასათანადო ყურადღებას აქცევენ ფიზიკური, ინტელექტუალური და/ან სენსორული დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, მოთხოვნებსა და საკითხებს. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია თავიანთ პროგრამებში შშმ პირებს მოიხსენიებს, თუმცა ეს ტენდენცია მხოლოდ სამედიცინო ან დახმარების საჭიროებზე ყურადღების გამახვილებაში გამოიხატება, ნაცვლად იმისა, რომ შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ჩართულობის გაზრდის კუთხით მკაფიო პოლიტიკა შეიმუშაონ.

ცესკომ შშმ პირთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. დაინტერესებულმა მხარეებმა ზოგადად დადებითად შეაფასეს შშმ პირთა საკითხებზე შექმნილი კომისიის სამუშაო ჯგუფი, ასევე საარჩევნო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

ხელშესაწყობად გატარებული ცვლილებები და საარჩევნო თანამდებობის პირთათვის ახლად შედგენილი ონლაინ კურსი, თუ როგორ უნდა დაუჭირონ მხარი შშმ პირთა დამოუკიდებელ მონაწილეობას არჩევნებში. ახალმა დროებითმა შესწორებამ ეტლით მოსარგებლე პირებს საშუალება მისცა **ვებგვერდზე** ენახათ 1,125 "ადაპტირებული" საარჩევნო უბნის (საერთო ჯამში დაახლოებით 30 პროცენტი) სურათები და აღწერილობა და დარეგისტრირებულიყვნენ იმ უბანში, რომელიც მათ საჭიროებებს აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, შშმ პირების უფლებებზე მომუშავე ჯგუფები აღნიშნავდნენ, რომ ეს უბნები შესაძლოა, კვლავ არ ყოფილიყო ყველასთვის მისაწვდომი, რადგან მისაწვდომობის კრიტირიუმები ცხადად არ არის გაწერილი. 25 ოქტომბრის მონაცემებით, მხოლოდ 14-მა ეტლით მოსარგებლე პირმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა. შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაბალი აქტივობა, შესაძლოა პანდემიასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკებთან და გადასატანი ყუთის გამოყენების უპირატესობით ყოფილიყო განპირობებული. ამომრჩეველებისათვის სპეციალური ჩარჩოს შემუშავების მიზნით, ცესკომ უსინათლოთა კავშირთან ითანამშრომლა. პროცესი იმან უფრო გაართულა, რომ წინა წლებთან შედარებით, 2020 წლის არჩევნებზე კანდიდატების რაოდენობა გაიზარდა. ამასთან, არჩევნების დღეს ყველა საუბნო საარჩევნო კომისია არ იყო აღჭურვილი აღნიშნული ჩარჩო/ფორმით და საუბნო საარჩევნო კომისიის ზოგიერთმა წევრმა მათი გამოყენება არ იცოდა. კანდიდატების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა სმენადაქვეითებულთა თემის წევრებისთვის გამოწვევას წარმოადგენდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი სურდო თარგმანს ყოველდღიურად, დღის განმავლობაში რამდენჯერმე უზრუნველყოფს\*, თუმცა სხვა მედია საშუალებებზე ეს სერვისი მიუწვდომელია. აღსანიშნავია, რომ ცესკომ ყველა მისი საინფორმაციო ვიდეო სურდო თარგმანით უზრუნველყო.

## ლგბტ+

წინა საარჩევნო წლებში ჰომოფობიური რიტორიკა ხშირად კონსერვატიული ამომრჩევლების მოსაზიდად გამოიყენებოდა. სასიხარულოა, რომ წელს ჩატარებულ კამპანიებში ჰომოფობიური თემები უმეტესწილად აღარ გვხვდებოდა. 28 ოქტომბრის მდგომარეობით, რვა პარტია შეთანხმდა ხელი მოაწერონ ლგბტ+ უფლებების შესახებ პარტიათაშორის მემორანდუმს, რომელიც გმობს ჰომოფობიური ენის გამოყენებას არჩევნებში და მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, დაიცვან ლგბტ+ პირთა უფლებები და უსაფრთხოება. ამ მიმართულებით წინსვლა აქ გაჩერდა, რადგან პარტიებს არცერთი ღიად ლგბტ+ კანდიდატი არ წარუდგენიათ. EMC-ს პარტიის პლატფორმების ანალიზის თანახმად, ქართულმა ოცნებამ, ნაციონალურმა მოძრაობამ და ლეიბორისტულმა პარტიამ თავიანთი პლატფორმების უმცირესობათა ჯგუფების ნაწილში არ მოიხსენიეს ლგბტ+ ადამიანები, ხოლო სხვა პარტიებმა, როგორიცაა ევროპული საქართველო და სტრატეგია აღმაშენებელი, ეს თემი მხოლოდ ზედაპირულად მოიხსენიეს. მათი უფლებებისა და ინტერესების აღიარების კუთხით კი ზოგიერთმა პარტიამ უფრო წინ წაიწია.<sup>16</sup> მაგალითად, ლელომ ხაზი გაუსვა ლგბტ+ ჯგუფებისათვის შეკრებისა და გამოხატვის უფლებების მნიშვნელობას, აღიარა ტრანსგენდერი ადამიანების, როგორც ცალკეული ჯგუფის

<sup>16</sup> EMC, "თანასწორობის პლატფორმაზე პარტიების წინასაარჩევნო ხედვებში - 2020," 23 ოქტომბერი, 2020 წელი, <https://emc.org.ge/ka/products/tanastsorobis-politika-partiebis-tsinasaarchevno-khedvebshi-2020>.

\* შესწორება შეტანილია 11/10/2020, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

საჭიროებები, ხაზი გაუსვა თემის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებსა და განიხილა ლგბტი+ პირებისადმი არსებული ძალადობის პრევენციული ზომები.<sup>17</sup> კიდევ ერთი პოზიტიური მოვლენა, წელს ლელოს, ევროპული საქართველოს და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიერ ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღიარება იყო.

### რეკომენდაციები:

- პარტიებმა კანდიდატების შერჩევის შიდა პროცედურების მეტი გამჭვირვალობა და დემოკრატიულობა უნდა უზრუნველყონ. სიებში სამ ან ოთხკაციან ჯგუფებში ქალები უფრო წინა პოზიციებზე წაწიონ და არჩეული ქალების ხელმძღვანელ პოზიციებზე დანიშვნას დაუჭირონ მხარი. იმ პარტიებმა, რომლებმაც კვოტის მოთხოვნების გადაჭარბების გამო დამატებითი დაფინანსება მიიღეს, ეს თანხა მათ ორგანიზაციებში გენდერულ მეინსტრიმინგსა და ქალების გაძლიერების ხელშემწყობ ინიციატივებს უნდა მოახმარონ.
- ქალთა ჩართულობის გაზრდისა და ხელმძღვანელ პოზიციებზე მათი წაწევის მიზნით, პარტიებმა უნდა აღიარონ და დაადგინონ ქალთა მონაწილეობის შიდა გამოწვევები და განიხილონ შიდაპარტიული ქცევისა და პრაქტიკის შეცვლის გზები, სამუშაო საათებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩათვლით.
- პარტიებმა უნდა გადახედონ გენდერული კვოტის მოქმედების ვადის გასვლის პუნქტს. ქალთა და კაცთა შორის ბალანსის დამყარება გრძელვადიანი პროცესია, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა სრულდებოდეს განხორციელების დაწყებიდან ასეთ მოკლე პერიოდში.
- მომავალ არჩევნებამდე, მთავრობა და ცესკო, შემ პირთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფებთან კონსულტაციის შედეგად, უნდა შეთანხმდნენ მისაწვდომობის საჭირო კრიტერიუმებზე და გადახედონ ადაპტირებულ უბნებს, ასევე უზრუნველყონ შესაბამისი ტრენინგები კომისიის ყველა წევრისთვის.
- ყველა მედიასაშუალებამ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროგრამა, როგორც სურდო, აგრეთვე სომხური და აზერბაიჯანული თარგმანით უნდა უზრუნველყონ. ფინანსები უნდა მოხმარდეს უმცირესობათა ენებზე გადაცემების რაოდენობის გაზრდას.
- პარტიებმა მოწყვლად ჯგუფებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშაონ პროგრამები, სადაც ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის (ქალების, ლგბტი+ ადამიანების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების ჩათვლით) მნიშვნელოვანი თემებიც იქნება ასახული.
- პარტიებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, შემ პირებისა და ლგბტ+ ადამიანების ლიდერებად ჩამოყალიბებას და კანდიდატებად წარდგენას უნდა შეუწყონ ხელი.
- მომავალ საარჩევნო კამპანიაში პარტიებმა და კანდიდატებმა თანასწორობის იდეის მხარდამჭერი და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული განცხადებები უნდა აკეთონ.

## მედია და საინფორმაციო გარემო

<sup>17</sup> Ibid.

## ტელევიზია

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ახალ ამბებს ტელევიზიის საშუალებით იგებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გარემო მრავალფეროვანია და მედია თამამად აშუქებს მოვლენებს, მსხვილ მაუწყებელთა უმრავლესობა პოლიტიკურად მიკერძოებულია, რაც ახალი ამბების პოლარიზებულად გამუქებას იწვევს. NDI-ის კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა სატელევიზიო არხებს მიკერძოებულად მიიჩნევს.<sup>18</sup> პარტიების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაბრკოლებები ექმნებოდათ იმ მედია-საშუალებებთან წვდომაზე, რომლებიც მათ მიმართ პოლიტიკურად მიკერძოებულნი არ არიან. აქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს მანდატი, რომ ახალი ამბები მიუკერძოებულად გააშუქოს, მაგრამ მისი აუდიტორია შეზღუდულია და ოპოზიციური პარტიები მის ნეიტრალიტეტს ეჭვქვეშ აყენებენ. ამ დაბრკოლებებმა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში შეუშალა ხელი.

მედიის მიკერძოებულობასთან დაკავშირებული კრიტიკა რამდენიმე ცნობილმა შემთხვევამ გაამწვავა, როდესაც მედიის მაღალი თანამდებობის პირებმა არჩევნების წინა პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკურ დისკურსს ღიად დაუჭირეს მხარი. ტელეკომპანია იმედის დირექტორის მაშინდელი მოადგილის საუბრის ჩანაწერში ნათქვამია, რომ მისი ჟურნალისტები უნდა ფოკუსირდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ოპოზიციურად მიჩნეული ტელეკომპანია მთავარის დისკრედიტაციაზე. მაისში ტელეკომპანია იმედის ხუთმა ჟურნალისტმა თანამდებობა დატოვა მას შემდეგ, რაც მათთვის აშკარა გახდა, რომ არ ჰქონდათ ჟურნალისტური თავისუფლება იმ საკითხების გაშუქებისას, რაც, შესაძლოა, მთავრობას უარყოფითად წარმოაჩენდა. ტელეკომპანია მთავარისა და POSTV-ს წარმომადგენლებმა, ასევე, საჯაროდ გააკრიტიკეს იმ პარტიების ოპონენტები, რომლებსაც მხარს უჭირენ. რამდენიმე პოლიტიკურმა ლიდერმა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მათთვის არასასურველი ტელევიზიების დახურვის მუქარაც გააჟღერა.

NDI-მ ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის შესახებ ცნობებზე შეშფოთება გამოთქვა, მათ შორის მარნეულში ტელეკომპანია მთავარის კორესპონდენტისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორის ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. ასევე, ქონების განადგურებასთან დაკავშირებული მუქარის შემდეგ, პანკისის სათემო რადიო იძულებული გახდა დაეხურა თავისი ოფისები და მაუწყებლობა სხვა ადგილიდან გაეგრძელებინა. არსებობდა გარკვეული შეშფოთება იმის შესახებ, რომ ჟურნალისტებზე ძალადობა, შესაძლოა, ნაკლებად გაშუქებულიყო, მსგავს შემთხვევებზე წარსულში რეაგირების ნაკლებობის გამო.

საარჩევნო პერიოდში კანდიდატებს შორის საჯარო დებატები შეზღუდულად ტარდებოდა. პოლიტიკური სპექტრის წამყვანმა კანდიდატებმა არ ისურვეს დებატებში მონაწილეობა და აღნიშნეს, რომ არ ჰქონდათ ნდობა, რომ სატელევიზიო არხები დებატებს მიუკერძოებულად წაიყვანდნენ. ამ

<sup>18</sup> NDI, “საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები,” 16 იანვარი, 2020, [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_December%202019\\_Public%20Presentation\\_GEO\\_VF.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202019_Public%20Presentation_GEO_VF.pdf)

ყველაფერმა ამომრჩევლებს კანდიდატების შედარების შესაძლებლობა დააკარგვინა. ამან კი, შესაძლოა, იმის აღქმაც გააძლიეროს, რომ პარტიების პროგრამები და პოლიტიკა საზოგადოების მიერ კარგად არ იყო გააზრებული და რომ პარტიულ არჩევანს, ძირითადად, კონკრეტული პოლიტიკური ლიდერები განსაზღვრავდნენ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (კომუნიკაციების კომისია) მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება ევალება, მათ შორის, მედია გარემოს მონიტორინგი საარჩევნო კოდექსის დარღვევების გამოსავლენად. არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა გასაჩივრების პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ კომისიის მიმართ ნდობა დაბალია, მაგრამ ზოგიერთი ჩართული მხარე მიიჩნევს, რომ კომისიამ ამ არჩევნებში უფრო კონსტრუქციული და მიუკერძოებელი როლი ითამაშა, ვიდრე წინა საარჩევნო ციკლების დროს.

## ონლაინ პლატფორმები

საქართველოში ინფორმაციით მანიპულირება მნიშვნელოვანი შეშფოთების საფუძველია და არჩევნების დროს ონლაინ დეზინფორმაცია განსაკუთრებით შესამჩნევია. არჩევნებამდე ყალბი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება COVID-19-ის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის საზღვრის დელიმიტაციასთან დაკავშირებული დავისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ, სავარაუდოდ, ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მცდელობების ნაწილია. ამასთან, ზოგიერთმა ჩართულმა მხარემ აღნიშნა, რომ დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ბრალდებების გაუდერება, თავის მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის კამპანიის დისკრედიტაციის ტაქტიკად იქცა. ჩართული მხარეები თანხმდებოდნენ, რომ ამ არჩევნებში შიდა ინფორმაციით მანიპულირება უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ქვეყნის გარედან შემომავალი დეზინფორმაცია. გარდა ამისა, ზოგიერთმა ჩართულმა მხარემ აღნიშნა, რომ ონლაინ სიძულვილის ენა იმაზე ნაკლებად იყო გავრცელებული, ვიდრე წინა არჩევნებზე.

ონლაინ სივრცეში განთავსებული ინფორმაცია სისხლის სამართლის კოდექსს და ელექტრონული კომუნიკაციების, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობების კონტროლს ექვემდებარება, თუმცა ყოვლისმომცველი ანგარიშვალდებულება არცერთ სამთავრობო უწყებას ეკისრება. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია კამპანიის, მათ შორის, ონლაინ პოლიტიკურ რეკლამების ხარჯების ზედამხედველობაზე, მიუხედავად იმისა, რომ უჭირს ანონიმური მიკერძოებული პოსტების პოლიტიკურ აქტორებთან დაკავშირება. აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ონლაინ ხარჯების შეფასებისას გამოწვევად რჩება ის, რომ ბევრი პარტია თავის ფინანსურ დეკლარაციებში არ განასხვავებს ონლაინ და ტრადიციულ მედიას. ცალკეული ორგანიზაციების („მესამე მხარეების“) მიერ სხვადასხვა კამპანიის სასარგებლოდ გაწეული ონლაინ ხარჯები დამატებით სირთულეს წარმოადგენს. საარჩევნო კამპანიის ბოლო დღეებში, აუდიტის სამსახურმა გამომიება დაიწყო იმ ორგანიზაციაზე, რომელმაც ნაციონალური მომრაობის მადისკრედიტებელი Facebook რეკლამები გამოაქვეყნა. გამომიების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა ვარაუდი, რომ მსგავსი რეკლამები წარმოადგენდა უკანონო შემოწირულობებს იმ პარტიისთვის,

რომელიც ამ მესიჯებით სარგებლობდა. საბოლოო ჯამში, ონლაინ მედია სივრცის შეზღუდული და არათანმიმდევრული კონტროლი სამოქალაქო ორგანიზაციების ნაწილის შეშფოთებას იწვევს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მონიტორინგსა და მისი გავლენის შერჩილებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, მედიის განვითარების ფონდი (MDF) და საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) Facebook-ის მიუკერძოებელი მესამე მხარის თანამშრომლობის წევრები გახდნენ, რაც მათ დეზინფორმაციის შემცველი პოსტების იდენტიფიცირებისა და მონიშვნის შესაძლებლობას აძლევს.

წინასაარჩევნო პერიოდში სამართლიანი არჩევნები სოციალური მედიის მონიტორინგს რეგულარულად ატარებდა. ორგანიზაციამ არაერთხელ გავრცელა ინფორმაცია კოორდინირებული არაავთენტური ქცევის შესახებ, რომელიც კამპანიების დისკრედიტაციას ან საზოგადოებაში დაძაბულობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. სამართლიანმა არჩევნებმა 69 ანონიმური Facebook გვერდი გამოავლინა, რომლებიც როგორც მმართველ პარტიაზე, ასევე, ოპოზიციურ პარტიებზე და მათ კანდიდატებზე ყალბ ან დისკრედიტაციულ ნარატივებს სისტემატურად ავრცელებენ. აღმოჩნდა, რომ ქართული ოცნების მხარდამჭერი გვერდები უფრო კოორდინირებულად მოქმედებდნენ. მათ გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ დააჯაფეს და გააუღერეს გაფრთხილება სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. ქართული ოცნების წინააღმდეგ მოქმედი გვერდები ნაკლებად კოორდინირებული იყვნენ და ხშირად ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ პოსტებს სხვა გვერდებისა და პროფილებისგან აზიარებდნენ. სამართლიანმა არჩევნებმა ასევე გამოავლინა კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა პატრიოტთა ალიანსის სასარგებლოდ და სხვა პარტიების დისკრედიტაციის მიზნით ინფორმაციის გავრცელებას 12 ანგარიშისგან შემდგარი ქსელის, ასევე, ადრეჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი Alt-Info-სთან ასოცირებული 34 გვერდისგან შემდგარი ქსელის მეშვეობით. Alt-Info თვითგამოცხადებული ალტერნატიული სიახლეების წყაროა, რომელიც სამართლიანი არჩევნების ანალიზის თანახმად, ანტილიბერალურ, ანტიდასავლურ, ანტიიმიგრანტულ და ანტი-ლგბტ+ პროპაგანდას ავრცელებს.<sup>19</sup> 24-25 ოქტომბერს Facebook-მა Alt-Info ქსელთან დაკავშირებული ზოგიერთი ანგარიში და გვერდი წაშალა.

ივნისში 50-ზე მეტმა ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ შეადგინა და ხელი მოაწერა Facebook-ისთვის გასაგზავნ ღია წერილს, რომელშიც ხელმომწერები ონლაინ საინფორმაციო სივრცის გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაზე გასცემდნენ რეკომენდაციას. აღნიშნული რეკომენდაცია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედია მონიტორინგის შედეგებს ეფუძნება. ამის საპასუხოდ, აგვისტოს დასაწყისში Facebook-მა პოლიტიკური რეკლამების ბიბლიოთეკა გახადა ხელმისაწვდომი, სავალდებულო ავტორიზაცია დაწესა ნებისმიერი საარჩევნო თუ პოლიტიკური რეკლამისთვის და შეზღუდა საზღვარგარეთიდან რეკლამების განთავსების შესაძლებლობები. ამან

<sup>19</sup> სამართლიანი არჩევნები, „სოციალური მედიის მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები,” 1-ლი ოქტომბერი, 2020, <https://isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringis-I-shualeduri-angarishi-2020-tslis-saparlamento-archenebi>; და “სოციალური მედიის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები,” 26 ოქტომბერი, 2020, <https://isfed.ge/geo/angarishebi/201026065446sotsialuri-mediis-monitoringi-meore-shualeduri-angarishi>.

კამპანიის დაფინანსებისა და ონლაინ რეკლამების განთავსების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას შეუწყო ხელი.

## რეკომენდაციები:

- შესაბამისმა უწყებებმა დროულად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ ჟურნალისტის ან მედიასაშუალების მიმართ ძალადობის ან დაშინების ბრალდებები და, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამრღვევები კანონით გათვალისწინებული სრული სიმკაცრით მისცენ პასუხისმომავალის განვითარების მიზანის გაზრდის გზები.
- მედიის პოლარიზაციის პრობლემის მოსაგვარებლად, მთავრობამ და პარლამენტმა უნდა განიხილონ საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და მისი დაფარვის არეალის გაზრდის გზები, ხოლო საერთაშორისო დონორებმა რეგიონული მედიისა და დამოუკიდებელი მაუწყებლების მხარდაჭერა უნდა გააძლიერონ.
- პარტიების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით დებატების ჩატარების შესახებ წესები და რეგულაციები უნდა გადაიხედოს.
- ამომრჩევლებისთვის დაბალანსებულ და სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა ყველა დებატებსა და პოლიტიკურ გადაცემაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, რათა მოსახლეობას მათი ხედვები და გეგმები გააცნონ.
- ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის გზით, პარლამენტმა სოციალურ და ონლაინ მედიაში პოლიტიკური კამპანიის წარმოების მარეგულირებელი ჩარჩო უნდა განიხილოს, რაც, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების დაცვის საუკეთესო პრაქტიკას დაეფუძნება და, ამასთანავე, მოქალაქეების სანდო ინფორმაციაზე წვდომას უზრუნველყოფს. საარჩევნოდ ციფრულმა პლატფორმებმა, განსაკუთრებით Facebook-მა, ქვეყანაში წარმომადგენლობა უნდა გახსნან ან გააფართოვონ, რათა კონტექსტში უკეთ გარკვევის გზით საჩივრებზე სწრაფი რეაგირება უზრუნველყონ.
- მთავრობამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა, ჟურნალისტებმა და ონლაინ პლატფორმებმა არჩევნების დროს დეზინფორმაციის გამოსავლენად და მისი გავლენის შესამცირებლად მუშაობა უნდა გააგრძელონ და კიდევ უფრო გააძლიერონ. ასევე, საინფორმაციო სივრცის დამაზიანებელი ზეგავლენებისგან დაცვისა და საზოგადოების მედეგობის გასაძლიერებლად გრძელვადიანი სტრატეგიები უნდა დანერგონ.

---

NDI მადლობას უხდის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ წვლილს დემოკრატიისთვის (NED) NDI-ის საარჩევნო ანალიზის პროგრამის მხარდაჭერისთვის. NDI არის არაკომერციული, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერით მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მუშაობს. NDI-ს 65-ზე მეტ ქვეყანაში 250-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია და შეფასება აქვს განხორციელებული,

მათ შორის არაერთი შეფასება საქართველოში 1992 წლიდან. NDI-ის და მისი პროგრამების შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე [www.ndi.org](http://www.ndi.org).

**დისტანციური შეფასების ჯგუფის წევრები:** NDI-ის პრეზიდენტი დერეკ მიტჩელი; ნიუ ჯერსის ყოფილი გუბერნატორი კრისტინ ტოდ უიტმანი; NDI-ის ევრაზიის პროგრამების დირექტორი ლორა ჯუიტი; NDI საქართველოს ოფისის დირექტორი ალან გილამი; NDI-ის გრძელვადიანი ანალიტიკური მისის დირექტორი მარია ბაბიჩი; NDI-ის პროგრამების დირექტორი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მელისა მუხიო; NDI-ის არჩევნების პროგრამების დირექტორი სარა კუპერი და NDI საქართველოს ოფისის დირექტორის მოადგილე თეონა ყუფუნია.

**ანგარიშის მომზადებაში წვლილი შეიტანეს:** NDI საქართველოს ოფისის პროგრამის მენეჯერმა ნინო ბოლქვაძემ; NDI საქართველოს ოფისის პროგრამის ოფიცერმა მარიამ ბარაძიძემ; NDI-ის პროგრამის უფროსმა ოფიცერმა ანდრეი შიმონიავამა; NDI-ის პროგრამის უფროსმა ასისტენტმა ქოულ სპაიდელმა და NDI-ის გრძელვადიანი ანალიტიკოსების გუნდმა - ჯოსეფ ბრინკერი, ქეთრინ ფინანი, ანიტრა იანკევიცა, მირიანა კოვაჩევიჩი, ადელინ მარქი, მარსელ ნაჟი და ინგე სნიპი.